პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

დასაქმების ხელშეწყობის უზრუნველყოფა

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი: 061004

ქვეპროგრამის დასახელება:

სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2016 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	70,000
სულ ბიუჯეტი:	70,000

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის უზრუნველყოფა, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების სააგენტოს მეშვეობით შემოთავაზებული მომსახურეობისა და სერვისით მოსარგებლე მოქალაქეების ზრდას და გააუმჯობესებს დასაქმების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: 1)საინფორმაციო / სარეკლამო კამპანიის წარმოება-კამპანია მოიცავს მოსახლეობისათვის სააგენტოს სერვისებისა და განსახორციელებელი პროექტების შესახებ ინფორმაციის დროულ და მიზანმიმართულ მიწოდებას. აღნიშნულის განსახორციელებლად შემუშავდება მარკეტინგული სტრატეგია სამიზნე აუდიტორიასთან (სამუშაოს მაძიებლები) და დაინტერესებულ მხარეებთან (დამსაქმებლები) სწორი და ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფისათვის. კამპანიის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმის მიხედვით სამიზნე ჯგუფებში სააგენტოს საქმიანობისა და სერვისების, დაგეგმილი მიზნობრივი პროგრამების მონაცემთა ბაზისა და ვებ-გვერდის სარგებლობის წესების შესახებ ინფორმაციის გავრცელება განხორციელდება სხვადასხვა აქტივობებისა და მეთოდების გამოყენების გზით, კერძოდ, ბეჭდური საინფორმაციო მასალის (ფლაერი, ბუკლეტი და სხვა) დამზადება/გავრცელება; პრეზენტაციების მოწყობა; საინფორმაციო ვიდეო რგოლების მომზადება და სატელევიზიო ეთერში განთავსება. ასევე ბრენდირებული (საიმიჯო) პროდუქციის (ბრენდირებული მაისური, ბლოკნოტი, კალამი, კალენდარი, სავიზიტო ბარათები და სხვა) დიზაინის მომზადება და ბეჭდვა), რაც სააგენტოს იდენტიფიკაციის, შერჩეული სტილისა და იერსახის შენარჩუნების, მისი ცნობადობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს, გამოხატავს კორპორატიულ ხედვას, ღირებულებებს, იმიჯს და სხვა მრავალ ელემენტს.

2) სააგენტოს ეფექტური და ოპერატიული საქმიანობისათვის დაგეგმილია, გამართული და მოქნილი მონაცემთა ბაზის შექმნა და მისი ინტეგრირება სააგენტოს ვებ გვერდთან (ერთიანი პორტალის შექმნის პრინციპით). ახალი მონაცემთა ბაზის ფორმირებისათვის სააგენტოს ექმნება არსებული მონაცემთა ბაზის ინვენტარიზაციის აუცილებლობა, რაც სააგენტოს არსებული რესურსის სრულად ჩართვის შემთხვევაშიც კი დაბალეფექტური იქნება ამასთანავე, ახალი მონაცემთა ბაზის შექმნის შემთხვევაში, ძველ ბაზაში დარეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირებზე არსებული ინფორმაციის იმავე ფორმატით გადატანა ტექნიკურად შეუძლებელია. რის გამოც აუცილებელია მათი ხელახალი რეგისტრაცია ან სააგენტოს მომსახურებით მოსარგებლე პირთა (სამუშაოს მაძიებელი, დამსაქმებელი) მონაცემების შევსება/განახლება, რასაც საველე მუშაობა სჭირდება. ეს კი ხელს შეუშლის სააგენტოს თანამშრომლებს დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვან განხორციელებაში.

საერთაშორისო გამოცდილების, შრომის ბაზრისა და დასაქმების ევროკავშირის ექსპერტის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ასევე ადამიანური რესურსების რაციონალურად გადანაწილებისა და დროის ეფექტურად გამოყენების მიზნით , დასახული ამოცანების შესასრულებლად საპილოტედ შემოღებულ იქნა დასაქმების აგენტების კომპონენტი. დასაქმების აგენტების ფუნქცია-მოვალეობები შემდეგნაირად განისაზღვრა: სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში დამსაქმებელთა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია; ბაზის ფორმირებისას ინვენტარიზაციის პროცესში დახმარება; სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი კომპანიებისა და სამუშაოს მაძიებლების ინფორმირებულობა სააგენტოს სერვისების შესახებ;

პროფესიული სწავლების შესახებ ცხობიერების ამაღლების მიზნით, საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლებისა და სააგენტოს მიზნობრივი პროგრამების შესახებ პრეზენტაციების ჩატარება; საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ბაზრის კომპონენტების კვლევებში მონაწილეობის მიღება (კითხვარების დარიგება შევსება); დამატებითი ვაკანსიების დამოუკიდებლად მოძიება /სააგენტოსთვის მიწოდება და დამსაქმებელთათვის შესაბამისი კადრების შეთავაზება, სააგენტოსთან შეთანხმებით. დასაქმების აგენტების მომსახურეობის ანაზღაურება განისაზღვრება სააგენტოს მიერ დამტკიცებული პროგრამის შესრულების წესისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, კერძოდ: აგენტი ყოველთვიურად მიიღებს 450 ლარს (სააგენტოს მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხის მიხედვით თანამშრომლის მინიმალური ხელფასის შესაბამისად), ხოლო დამატებით, მის მიერ მოძიებულ ვაკანსიაზე დასაქმებულ სამუშაოს მაძიებელზე ერთჯერადი ბონუსის სახით 60 ლარს. ბონუსის ოდენობა განისაზღვრა, სააგენტოში 2014-2015 წლებში შემოსული ვაკანსებზე დამსაქმებლის მიერ ყველაზე ხშირად შეთავაზებული ანაზღაურების (300 ლარი) 20%-ით. აგენტის ანაზღაურება ჯამში უნდა შეადგენდეს არა უმეტესს 750 ლარისა.

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
საინფორმაციო/სარეკლამო კამპანიის წარმოება			30,000
სააგენტოს ერთიან მონაცემთა ბაზაში დამსაქმებელთა და სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია; აჭარის ტერიტორიაზე ოპერირებადი კომპანიებისა და სამუშაოს მაძიებლების ინფორმირებულობა სააგენტოს სერვისების შესახებ; საჯარო სკოლებში, პროფესიული განათლებისა და სააგენტოს მიზნობრივი პროგრამების შესახებ პრეზენტაციების ჩატარება; დამატებითი ვაკანსიების დამოუკიდებლად მოძიება /სააგენტოსთვის მიწოდება და დამსაქმებელთათვის შესაბამისი კადრების შეთავაზება, სააგენტოსთან შეთანხმებით.			40,000
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			70,000

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ელექტრონული ტენდერის გამოცხადება საინფორმაციო/სარეკლამო კამპანიის წარმოებაზე	X	X		
ბრენდირებული პროდუქციის დიზაინის მომზადება და ბეჭდვა	X	X		
საინფორმაციო ვიდეო-რგოლების მომზადება		X	X	
საინფორმაციო/სარეკლამო კამპანიის წარმოება		X	X	X
კონკურსის წესით აგენტების შერჩევა	X			
აგენტების დატრენინგება	X	X	X	X

სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება, ვაკანსიების მოძიება;		X	X	X
მონიტორინგი	X	X	X	X
მონიტორინგის შედეგების/ანგარიშის მომზადება, და ანალიზი	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გაზრდილია სააგენტოს სერვისით მოსარგებლე და დასაქმებული პირების რაოდენობა

ქვეპროგრამის საბოლოო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები					გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
		2016 წელი	2017 წელი	2018 წელი	2019 წელი				
სააგენტოს ეფექტიანი და ხელმისაწვდომი საქმიანობით მოსარგებლე და დასაქმებული მოქალაქეები და დასაქმების გაზრდილი შესაძლებლობები	სააგენტოს სერვისით მოსარგებლე მოქალაქე	4000	5000	6000	7000	რაოდენობა	დასაქმების მონაცემთა ბაზა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	დასაქმების მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის ანგარიში
	მოძიებული ვაკანსია	400	400	400	400	რაოდენობა	დასაქმების მონაცემთა ბაზა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	დასაქმების მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის ანგარიში
	დასაქმებული მოქალაქე	400	400	400	400	რაოდენობა	დასაქმების მონაცემთა ბაზა	სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო	დასაქმების მონაცემთა ბაზის სტატისტიკური ანალიზის ანგარიში